02/07/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება

ჩვენთან არს ღმერთი!

ყველას გილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს. დღეს არის ხსენება ათონის მამების. მათ შორის იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელის და სხვათა მამათა ჩვენთა. თქვენ იცით, არის ქართული მონასტერი ივირონი და ჩვენ შევთხოვთ წმინდა მამებს, რომ დაამშვიდოს საქართველო და მთელი მსოფლიო.

ჩვენ ვცხოვრობთ მეტად რთულ დროს, როცა ადამიანები არ არიან კმაყოფილი არსებული მდგომარეობით, თხოულობენ ახალ პირობებს და ეს პირობები არც ისე ადვილია მოიპოვონ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სიმშვიდე, მშვიდობა აუცილებელია ყოველი ადამიანისთვის. აუცილებელია ქვეყნისათვის. სიმშვიდე თუ არ იქნება, ვერაფერს ვერ მიაღწევს ადამიანი. სიმშვიდე მოგცეთ ღმერთმა თქვენ და მთელს საქართველოს.

ბერის ცხოვრება ძალიან რთულია. ბერი არის ის ადამიანი, რომელიც არასდროს არ არის კმაყოფილი თავისი მდგომარეობით, თავისი თავით.

ბერი ის ადამიანია, რომელიც ცდილობს და ადის აღმასვლის კიბეზე.

ბერი ის ადამიანია, რომელიც არ არის კმაყოფილი წინა დღით და დღეს უნდა იყოს

უკეთესი, ვიდრე იყო გუშინ.

ბერების ლოცვამ გადაარჩინა ქვეყანა და ეკლესია.

გილოცავთ მთაწმინდელების დღესასწაულს, შეგვეწიოს იმათი ლოცვა. ჩვენ და მთელს მსოფლიოს.

ჩვენთან არს ღმერთი!

patriarchate.ge